განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ა.(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი**

**დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჟინვალის ფილიალი**

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
|---|
| თავმჯდომარე: |
| ხარისხის ექსპერტი: **მაკა ტუკვაძე** |
| წევრები: |
| კურიკულუმის ექსპერტი: **თამარ ლომიძე** |
| კვების დარგში ექსპერტი: **ია იაკობიძე** |
| სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: **ინგა კობახიძე** |

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი** |
| საფირმო სახელწოდება | **ა.(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი** |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | **229325101** |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)* | **დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჟინვალის ფილიალი** |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)* | |

| | |
|---|---|
| სექტორი | **საჯარო** |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | **სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება** |

## 2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

| | |
|---|---|
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | **დუშეთის მუნიციპალიტეტი, ქ. დუშეთი, შ.რუსთაველის 27** |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | **დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჟინვალი, მე-4 ქუჩა, N7 ა** |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)* | ---------------------------------------------------------------------------------------------------- |

## 3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |

## 4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | **სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება-**<br>**MES 7 26 0000230676 26/02/2026** |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | **20 და 21 მარტი** |

## 5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)

| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
|---|---|

| | |
|---|---|
| ------------------------------------------------------------------------------------------- | ------------------------------------------------------------------------ |

| 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული *„ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"*-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. | | | | | |
| **N** | **პროგრამის სახე**[1] | **კურიკულუმ(ებ)ის დასახელება** | **პროგრამის განხორციელების ენა** | **პროგრამის განხორციელების მიდგომა** *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | **თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** |
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი ‘‘თამაში’’ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის | ქართული | | 110 |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

---

[1] აისახოს მხოლოდის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

2026 წლის 20 და 21 მარტს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება- MES 7 26 0000230676 26/02/2026 -ის საფუძველზე, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაბა ჟინვალის ფილიალში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1.მაკა ტუკვაძე-ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე)

2.თამარ ლომიძე-კურიკულუმის ექსპერტი:

3. ია იაკობიძე-კვების დარგში ექსპერტი:

4. ინგა კობახიძე-სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტებმა საკუთარი მიმართულებების მიხედვით იმუშავეს დასკვნის მომზადებისთვის საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად. ვიზიტის განმვალობაში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციალა ყველა ის აქტივობა, რაც გაწერილი იყო წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით. ჩატარდა დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუები შესაბამისი წესების დაცვით და მათი მხრიდან იყო მიმღებლობა და ხელშეწყობა ვიზიტის სრულფასოვნად განსახორციელებლად.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

დაბა ჟინვალის საბავშვო ბაღის საუკეთესო და გასაზიარებელ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს ბაღის პერსონალის მხრიდან ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საგანმანათლებბლო რესურსების შექმნის პროცესში. ბაღის ხელმძღვანელის და საგანმანათლებლო პერსონალის კვლევა-ძიებით და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ბაღს აქვს სენსორულ სივრცეებში ქვიშის ალტერნატივა, რომელიც არის ბავშვებისთვის უსაფრთხო ფხვიერი მასა. ის შედგება შემდეგი ინგრედიენტებისგან: მჭადის ფქვილი, სახამებელი, ზეთი, კაკაო ან კვებითი საღებავები, ვანილი სურნელისთვის.

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

................................................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................................................................

## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **სტანდარტი/კომპონენტი** | **დაწესებულების თვითშეფასება** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** |
| **ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება** | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>**პროგრამის სახე-**<br>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა<br>***კურიკულუმის დასახელება***<br>ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის | | |
|---|---|---|
| **2. კურიკულუმი** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |

| | | |
|---|---|---|
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. საალმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☒ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

## 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ დაბა ჟინვალის ფილიალმა (შემდგომში ბაღი) წარმოადგინა მისია, რომელიც წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტის სახით. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად მისია არ მტკიცდება.

დაწესებულების მისია ჟღერს შემდეგნაირად: ,,შევქმნათ ბავშვზე მორგებული მრავალფეროვანი და უსაფრთხო გარემო, ხელი შევუწყოთ პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციას, რათა შევძლოთ თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება“

წარმოდგენილი მისიით დაწესებულება ეხმიანება ბავშვთა საუკეთესო ინტერესებს და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს, რამდენადაც მიზნად ისახვს დააკმაყოფილოს ყველა ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები უსაფრთხო და მრავალფეროვან გარემოში. აღნიშნულის მიღწევას დაწესებულება გეგმავს კვალიფიციური პერსონალისა და მშობელთა ჩართულობით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ დაბა ჟინვალის ფილიალმა მისიასთან ერთად წარმოადგინა ხედვა და ღირებულებები. დაწესებულება ხედვით განსაზღვრვს 10 წლიანი პერიოდს მისიით გაცხადებული მიზნების მისაღწევად და აქცენტს აკეთებს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

დაწესებულების ხედვაა: 10 წელსში კომპეტენტური და თავდაჯერებული პერსონალის მიერ დუშეთის ყველა ბაღში ჩამოყალიბებული იქნება ბავშვზე ორიენტირებული ისეთი გარემო, სადაც სრულად იქნება უზრუნველყოფილი მათი ჰოლისტური განვითარება და ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება.

მისია და ხედვასთან ერთად განსაზღვრულია ღირებულებები, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად:

- პასუხისმგებლობა,
- ობიექტურობა და მიუკერძოებლობა,
- ბავშვის სიყვარული და პატივისცემა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი" განსაზღვრავს მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესის საკვანძო პრინციპებს. კერძოდ, თანამშრომლობას და გუნდურობას, რაც თავის მხრივ გულისხმობს, პროცესების განხორციელებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და პროცესების წარმართვას სამუშაო ჯგუფის ფორმატში. მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას.
მეთოდოლოგიის შესაბამისად დაბა ჟინვალის ფილიალმა წარმოდგინა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის N259 ბრძანება, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, შესასრულებელ სამუშაოს და ჯგუფის უფლებამოსილების ვადას. სამუშო ჯგუფის წევრებია: სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მეთოდისტი, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის სპეც. მასწავლებელი, ფილიალის დირექტორები, ფილიალის აღმზრდელები და მშობელი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაშია დაბა ჟინვალის ფილიალის დირექტორი და 2 აღმზრდელი.

სამუშაო ჯგუფის წევრების ჩართულობა მისია, ხედვა ღირებულებების შემუშავების პროცესში დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის N1 და N2 სხდომის ოქმებით.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვავს დაინტერესებულ პირებს და მათ ჩართულობას პროცესში. რამდენადაც დაწესებულებაში მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები და წარმდგენილია შესაბამისის მტკიცებულებები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ განსაზღვრავს მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების ეტაპებს, მათ შორის, სამუშაო ჯგუფის მიერ, შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტის გაზიარებას დაინტერესებული მხარეებისთვის და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ბაღის პერსონალთან ინტერვიუთი დგინდება, რომ მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის წევრებმა დაბა ჟნვალის პერონალს გაუზიარეს მისია, ხედვა, ღირებულებები. მტკიცებულებად წარმოდგენილია პერსონალთან შეხვედრის ოქმი-10, ფოტომასალა და დაბა ჟინვალის facebook გვერდი. მისია, ხედვა, ღირებულებების საჯროობა დასტურდებას ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერებით, სადაც თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტი
2. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანება ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ დამტკიცების შესახებ.
3. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის N259 ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
4. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის N1 და N2 ოქმები
5.დაბა ჟინვალის სოციალური ქსელი
6. ინტერვიუს შედეგები
7. ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგეგბი
8. დაბა ჟინვალის თანამშრილებთან შეხვედრის ოქმი-10

| შეფასება: |
|---|
| 1.1. დაწესებულების მისია |

| | | | |
|---|---|---|---|
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაბა ჟინვალის ფილიალმა წარმოდგინა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიურ დოკუმენტს. მეთოდოლოგიური დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ასევე განსაზღვრავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.
მეთოდოლოგიური დოკუმენტი აღწერს მონიტორინგის და შეფასების პროცესიის არსს, პროცესის განხორციელების პერიოდულობას- სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში ორჯერ, ხოლო შეფასება წლიურად. ასევე განსაზღვრავს, პროცესის განმახორციელებლებს- სამუშაო ჯგუფის სახით, პროცესის შედეგების დოკუმენტირების ფორმას-ანგარიშების წარდგენით და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-4 მუხლი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული დაინტერესებული პირების ჩამონათვალს. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
...........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაბა ჟნვალის ფილიალმა წარმოდგინა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026-2031 წლების სტრატეგიული გეგმა. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაცია: შესავალი ნაწილი, სტრატეგიის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები, ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, სიტუაციური ანალიზი, სტრატეგია და მისია, ხედვა ღირებულებები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. სტატუსის მაძიებელმა სტრატეგიულ გეგმის შემუშავების მტკიცებულებად წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის N3 და N4 ოქმები, სადანაც ჩანს, რომ სტრატეგიული გეგმის ფორმირება განხორციელდა შემდეგი ეტაპების თანმიმდევრობით:

- სტრატეგიულ გეგმისთვის swot ანალიზის განხორციელება
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების პროექტის შემუშავება
- სტრატეგიული გეგმის პროექტის გაზიარების და უკუკავშირის შეგროვების გზების დაგეგმვა
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების პროექტზე მიღებული უკუკავშირის განხილვა
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო ვერსიის ფორმულირება

საბოლოოდ ფორმირებული სტრატეგიული გეგმა მოიცავს 4 სტრატეგიულ მიზანს და მიზნების შესაბამისი ამოცანებს. სტრატეგიული მიზნებია:

- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება
- მშობელთა და თემის ჩართულობის უზრუნველყოფა
- ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობა
- უსაფრთხო ფიზიკური გარემოსა და მრავალფეროვანი რესურსების უზრუნველყოფა

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგის და შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სტრატეგიული გეგმის განახლებას, აღნიშნული მიუთითებს დაგეგმვის პროცესის ციკლურობაზე.

სტრატეგიული მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებებთან. გაცხადებული ხედვა, წარმოადგენს სტრატეგიული მიზანების განსაზღვრის საფუძველს, ძირითად ორიენტურს და ღირებულებებთან ერთად ჰქმნის იერარქიულ მიმართებებს მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. კერძოდ, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება-პასუხობს ორგანიზაციის ხედვას, რომლის მიხედვითაც 10 წელიწადში დუშეთის ყველა ბაღს ეყოლება კომპეტენტური და თავდაჯერებული პერსონალი. მშობელთა და თემის ჩართულობის გაძლიერება- მისიაში მკაფიოდაა ხაზგასმული მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციის შესახებ. უსაფრთხო ფიზიკური გარემოს და მრავალფეროვანი რესურსების უზრუნველყოფა-მისიაში ხაზგასმულია უსაფრთხო და ბავშვზე მორგებული მრავალფეროვანი გარემოს არსებობაზე. ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობა-მისიის და ხედვის მთავარი არსია, ჰოლისტური განვითარება და ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება. მისიით დეკლარირებული მიზნების შესრულებისთვის დაწესებულებამ განსაზღვრა ფუნდამენტური სამუშაო პრონციპები, რომლების ღირებულებების სახითაა ჩამოყალიბებული: პასუხისმგებლობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, ბავშვის სიყვარული და პატივისცემა.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი, ციკლური, სტარატეგიული მიზნები პასუხობს დაწესებულების მიერ დეკლარირებულ მისიას, ხედვას, ღირებულებებს და მოიცავს სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებს. აღნიშნულიდა გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

....................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

....................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

....................................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ჟინვალის ფილიალმა წარმოდგინა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026 წლის

სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა ემთხვევა კალენდარულ წელს და ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, რამდენადაც მოიცავს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. 2026 წლის სამოქმედო გეგმა მოქმედებს ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრში“ შემავალი ყველა ფილიალისთვის, მათ შორის დაბა ჟინვალის ფილიალისთვის, რომლისთვისაც განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები.

სტრატეგიულ გეგმაში აღწერილია დაწესებულების სიტუაციურ ანალიზი, რომელზეც დაყრდნობით შემუშავდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა. ასევე, ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვით, სტრატეგიული გეგმიდან და დაწესებულების ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა, რაც მიუთითებს, დაწესებულების ვალდებულებაზე, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოამზადოს თვითსეფასება. სტატუსის მაძიებელმა სამოქმედო გეგმაზე მუშაობის მტკიცებულებად წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის N5 და N6 სხდომის ოქმები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა ასვე მოიცავს შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, რამდენადაც ინდიკატორის საშუალებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების შედეგების პროგრესის შეფასება რაოდენორივ და თვისობრივ ჭრილში. დაგეგმილი აქტივობების შესრულების რეალისტურ ვადებს, რადგან გაწერლია კონკრეტულ თვეებსა და პერიოდზე. ამოცანების/აქტივობების შესრულებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული

ერთეულები, მათი ფუნქციები პოზიციის შესაბამისია. დადგენილი ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.............................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.............................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.............................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელების პერიოდულობას, სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში ორჯერ , ხოლო შეფასება წლიურად. რამდენადაც სტრტეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია 2025 წლის ბოლოს. მონიტორინგის და შეფასების პროცესი ჯერ არ დამდგარა. დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებით, დაწესებულება იღებს ვალდებულებას სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს დადგენილი წესების შესაბამისად. **აღნიშნულიდან გამოდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.............................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................................
რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ასევე მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით შეფასების შედეგებს დაწესებულება გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის. რამდენადაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების პროცესის დრო ჯერ არ დამდგარა, შედგებიც ვერ იქნება საჯარო. **აღნიშნულიდან გამომდინარე,ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N250 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“,

2. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026-20231 წლების სტრატეგიული გეგმა.
3. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026 წლის სამოქმედო გეგმა.
6. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის N3. N4, N5 და N6 სხდომის ოქმები.
7. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა**

### კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი ‘’თამაში’’ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, რომელიც დამტკიცებულია, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის N469 ბრძანებით. სავალდებულო დანართებში (დანართიN4;) წარმოდგენილია - ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025წ.).

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N454, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ; 19 დეკემბერი 2025წელი (დანართიN 4);
- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართიN 6);
- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N 401, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი; 12 ნოემბერი 2025წ. (დანართი 5);
- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება #429, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ; 5 დეკემბერი 2025წ. (დანართი -22);
- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება #85, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ; 11 მარტი 2025წ.

წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რომლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული. მარეგულირებელი წესის, მუხლი 2. კურიკულუმის შერჩევის თანახმად. კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;

ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;

გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა;

დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.

ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეტაპის განხორციელებისათვის, დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N429 ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ; 5 დეკემბერი 2025წ. (დანართი- 22);
- ✓ ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N2(18დეკემბერი); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრისთვის კურიკულუმის შერჩევა და მინიმალური რესურსების სიის განხილვა;
- ✓ ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N1 (06.12.2025წ.); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდეი აღზრდის ცენტრის” ფილიალების საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის მონახაზის მომზადება და კურიკულუმის გაცნობა;
- ✓ ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N 3 (29 დეკემბერი, 2025წ.); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის” საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის განხილვა;

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით, ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს. კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი და წესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი), რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია; კურიკულუმი ჰოლისტურია და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, რათა ფართო და მყარი საფუძველი შეუქმნას ბავშვის სწავლასა და კეთილდღეობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს კურიკულუმით, ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. თამაში ამ კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. ბავშვზე ცენტრირებული მიდგომის შესაბამისად, ბავშვი მისი სწავლის ცენტრალური ფიგურაა, სადაც უფროსი მის ინტერესს მიჰყვება, ხელს უწყობს სწავლისა და განვითარების ბუნებრივ პროცესს. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობის, ინტერესის გაღვივებას, ზრდის მოტივაციას და სწავლის შინაგან სურვილს. სწავლა და განვითარება მრავალფეროვან სივრცეებში მონაწილეობით და ჩართულობით ხდება. შემოქმედებითად და გააზრებულად მოწყობილი სივრცეები ხელს უწყობს თამაშით კვლევას, რომელიც ერთდროულად უსაფრთხოც არის და ზომიერ სირთულეებს და რისკსაც მოიცავს. ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ✓ ბავშვებს აქვთ თავისუფალი არჩევანი სასურველი აქტივობების შერჩევისას, თემის შერჩევისას დაცულია ბალანსი, ბავშვის მიერ და უფროსის მიერ შერჩეულ თემათა შორის. კურიკულუმის მიზანია, ბავშვებმა თავად მოიძიონ კონფლიქტის გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- ✓ სივრცე ნაწილობრივ არის დაყოფილი ცენტრებად, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხვადასხვა ტიპის თამაშისთვის;
- ✓ თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას;

კურიკულუმს ორი ძირითადი მიზანი აქვს - ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა. ჯგუფის ერთობა მოიცავს როგორც ბავშვების ინდივიდუალურ, სოციალურ, ემოციურ, კომუნიკაციურ უნარებზე ზრუნვას, ისე - ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობას და ერთ მთლიან გუნდად ჩამოყალიბებას. კვლევა-აღმოჩენა კვლევის უნართან ერთად ცნობისმოყვარეობას და შემოქმედებით უნარებს აერთიანებს. ეს, თავის მხრივ, ისეთ, კიდევ უფრო კონკრეტულ უნარებში ვლინდება, როგორიცაა: ინტერესი სიახლის მიმართ, კითხვების დასმა, ვარაუდების გამოთქმა, ყურადღების კონცენტრაცია, დაკვირვება საგნებსა და მოვლენებზე, ექსპერიმენტირება, კლასიფიკაცია, შედარება, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება, ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, სიმბოლური აზროვნება, ინტერპრეტაცია, პრობლემის გადაჭრა, შექმნა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს კურიკულუმით, ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში. კურიკულუმში მოცემულია ინფორმაცია, ოჯახებთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ბაღის საქმიანობის ეფექტურობასა და ბავშვის განვითარების მხარდაჭერაში. მოცემულია ოჯახის მონაწილეობის სამი მიმართულება: ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობა; ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების უწყვეტი ჩართულობა; მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს კურიკულუმით, ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. ბავშვები ჩართული არიან სხვადასხვა ტიპის აქტოვობებში, იძენენ სხვადასხვა ტიპის გამოცდილებებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიადიულური თავისებურებები/საჭიროებები. ასევე გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

...................................................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

...................................................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...................................................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს კურიკულუმით, ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის **ბრძანება N401, ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი; 12 ნოემბერი 2025წ. (დანართი 5);** მარეგულირებელი წესის, მუხლი 3. (კურიკულუმის გაზიარება) თანახმად, დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს. დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ:

ა) მშობლები;

ბ) დაწესებულების პერსონალი;

გ) თემი/მუნიციპალიტეტი;

დ) სხვ.

დაწესებულება კურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს. დაწესებულებამ წარმოადგინა სოციალური ქსელის ბმული:
https://www.facebook.com/groups/856780743386170;
https://www.facebook.com/photo?fbid=4108855612701100&set=pcb.4108856396034355
ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულებაში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარებისთვის, არის შექმნილი დახურული ჯგუფები, სადაც ინტენსიურ რეჟიმში იტვირთება მოკლევადიანი გეგმით განსაზღვრული კვირის თემები, საგანმანათლებლო პერსონალის მიერ დაგეგმილ აქტივობათა ფოტო/ვიდეო მასალა, ცნობიერების ამაღლებისთვის სხვადასხვა თემატური ინფორმაცია. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა:

- ✓ დაბა ჟინვალის ფილიალის საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრის ოქმი N1, თემა: ღია კარის დღის შემუშავებასთან დაკავშირებით;
- ✓ დაბა ჟინვალის ფილიალის მშობელთა კრების ოქმი N2; თემა: ბაღისა და მშობლის ურთიერთთანამშრომლობის გაცნობა-გაზიარება
- ✓ დაბა ჟინვალის ფილიალის მშობლებთან შეხვედრის კრების ოქმი N4; თემა: ბავშვთა უფლებების დაცვა; საგანმანათლებლო პროგრამა ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“, ეზოს ფუნქციურ სივრცეებად განახლება

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N454, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ; 19 დეკემბერი 2025წელი (დანართი 4);
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6);
3. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N401, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი; 12 ნოემბერი 2025წ. (დანართი 5);
4. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N429, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ; 5 დეკემბერი 2025წ. (დანართი 22);
5. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N85, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ კურიკულუმის შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ; 11 მარტი 2025წ.
6. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N 2 (18დეკემბერი); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრისთვის კურიკულუმის შერჩევა და მინიმალური რესურსების სიის განხილვა;
7. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N 1 (06.12.2025წ.); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდეი აღზრდის ცენტრის”; ფილიალების საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის მონახაზის მომზადება და კურიკულუმის გაცნობა;
8. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ცენტრის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N 3 (29 დეკემბერი, 2025წ.); ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის” საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის განხილვა;
9. დაბა ჟინვალის ფილიალის საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრის ოქმი N1, თემა: ღია კარის დღის შემუშავებასთან დაკავშირებით;
10. დაბა ჟინვალის ფილიალის მშობელთა კრების ოქმი N2; თემა: ბაღისა და მშობლის ურთიერთთანამშრომლობის გაცნობა-გაზიარება;

11. დაბა ჟინვალის ფილიალის მშობლებთან შეხვედრის კრების ოქმი N4; თემა: ბავშვთა უფლებების დაცვა; საგანმანათლებლო პროგრამა ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“, ეზოს ფუნქციურ სივრცეებად განახლება;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1. კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს, 2025 წლის 30 დეკემბერს, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის N469 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი -6);

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა -ს თანახმად:

1. საგანმანათლებელო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები).
2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი, გრძელვადიანი/კალენდარული გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის აღმზრდელის მიერ, ჯგუფში ბავშვებთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით 2-4 თვიანი პერიოდულობით.
3. მოკლევადიანი/მიმდინარე გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის აღმზრდელის მიერ 1 კვირის პერიოდულობით, ჯგუფში ბავშვებთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით
4. გრძელვადიანი და მოკლევდიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საბავშვო ბაღის მეთოდისტი ან/და დირექტორი;

5. საბავშვო ბაღების მიერ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის გამოიყენება კურიკულუმით გათვალისწინებული მოკლევადიანი გეგმების სარეკომენდაციო ფორმები.
 დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის"; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6). აღნიშნულ დოკუმენტს, დანართის სახით თანდართული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის სარეკომენდაციო ფორმები;
**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6)
მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, მესამე და მეოთხე პუნქტის თანახმად: მოკლევადიანი/მიმდინარე გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის აღმზრდელის მიერ 1 კვირის პერიოდულობით, ჯგუფში ბავშვებთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით. გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საბავშვო ბაღის მეთოდისტი ან/დირექტორი; აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი წესის თანდართულ ფაილად გადმოგზავნილ მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმების ბადეში არ არის

ცალკე ველად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირების ხელმოწერის ველები, რაც რთულს ხდის იმის დადასტურებას, რომ დაგეგმვის და შევსების პროცესი თანამონაწილეობითია, თუმცა ადგილზე ვიზიტისას, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორთან (მეთოდისტი), დირექტორთან და აღმზრდელთან ინტერვიუდან ვიღებთ ინფორმაციას, რომ საგანმანათლებლო პროცესს გუნდი გეგმავს ერთად, ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე ადგილზე წარმოდგენილი მოკლევადიანი/გრძელვადიანი გეგმის ბადეში, ფიქსირდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პერსონალის ხელმოწერის ველი. აღმზრდელის თანაშემწესთან გასაუბრებისას მიღებულია ინფორმაციიდან დასტურდება, რომ ის საგანმანთელებლო პროცესში, მისი სამუშაო აღწერილობიდან და ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, დროის უქონლობის გამო, ჩართულია ნაწილობრივ, მცირე დროით;

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს,აღმზრდელის თანაშემწე აღმზრდელთან ერთად, მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, სრულად ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებულ საქმიანობებში;

რჩევა

სასურველია, პრაქტიკაში განხორცილებულ ან განსახორციელებელ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების სარეკომენდაციო ფორმებს, საგანმანათლებლო პერსონალის თანამონაწილეობის დასტურად, დაემატოს პასუხისმგებელი პირების ხელმოწერის ველი;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,დაწესებულება უზრუნველყოფს, აღმზრდელი (აღმზრდელის თანაშემწე), აღმზრდელ-პედაგოგთან ერთად, მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, სრულად ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებულ საქმიანობებში". განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (24 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე ექსპერტთა გუნდის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობად.**

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6)

მარეგულირებელი წესში, მუხლი 10. პორტფოლიოს წარმოება - თანახმად:

1.დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს შემდეგი ტიპის პორტფოლიოებს:

ა) ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიოს;
ბ) აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოს;
გ) აღმზრდელის პორტფოლიოს;
დ) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს;

2. აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) დღის განრიგი;
ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
გ) ინდივიდუალური გეგმები;
დ) საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების ჩანაწერები და მათზე რეფლექსია;

3. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
ბ) ბავშვის შეფასების შემაჯამებელი ანგარიში;
გ) ბავშვის ნამუშევრები ან ბავშვის ნამუშევრის ფოტოები;
დ) ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს;

4.მუსიკის აღმზრდელისა და აღმზრდელის თანაშემწე საგანმანათლებლო ფუნქციით პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) მოკლევადიანი გეგმები;
ბ) რეფლექსიური ჩანაწერები;
გ) დღის განრიგი;

5.ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
ბ) ინდივიდუალური გეგმები;
გ) რეფლექსური ჩანაწერები;

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც ვლინდება იმაში, რომ დღის განრიგში გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დაცულია ბალანსი აღმზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ა(ა) იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაბა ჟინვალის ფილიალის დირექტორის ბრძანება N80 9 თებერვალი 2026წ. ა(ა) იპ

დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დ.ჟინვალის ფილიალში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის დღის განრიგის დამტკიცების შესახებ; დამტკიცდეს დ.ჟინვალის ფილიალში 2-3წ; 3-4წ.; 4-5წ; 5-6წ.-ბის დღის დანრიგი.
მოკლევადიან სარეკომენდაციო გეგმის ფორმაში ცალკეა გამოყოფილი ინდივიდუალიზაციის ველი, რეფლექსური ჩანაწერები ფიქსირდება საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოებში. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6) დოკუმენტს, დანართის სახით თანდართული აქვს მოკლევადიანი (დანართი 2) და გრძელვადიანი/კალენდარული გეგმის ფორმა (დანართი 4) **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ ბრძანება N 469, 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6);
მარეგულირებელ წესში, მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - ს თანახმად:
1.საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.
2.დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) მოკლე კითხვარები/ჩექლისტები;

3.შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით; აღნიშნულ დოკუმენტს, დანართის სახით თანდართული აქვს, განვითარების ინდივიდუალური გეგმის ფორმა (დანართი-3), ბავშვის შემაჯამებელი შეფასების ფორმა (დანართი -5);

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, გენერალური დირექტორის ბრძანება N86; ა(ა) იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" ბავშვის დაკვირვების კითხვარის დამტკიცების შესახებ: 2-3 წლიანთა, 3-4 წლიანთა, 4-5 წლიანთა და 5-6 წლიანთა ბავშვის დაკვირვების კითხვარი; კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის; (დანართი 1);

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიურირებისას იკვეთება, რომ ამ ეტაპზე პრაქტიკაში ობიექტური დაკვირვებების ჩაწერა მოხდება რვეულებში/ჟურნალებში, ვინაიდან კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის ახალი დანერგილია დაწესებულებაში (კურიკულუმი დამტკიცებულია დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის N454 ბრძანებით, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ; 19 დეკემბერი 2025წელი), აღნიშნული ფორმების შერჩევა/შესწავლა/გამოყენებაზე მუშაობა საგანმანთლებლო პერსონალთან ახლა მიმდინარეობს;

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ირიცხება სსსმ პირი, შექმნილია მულტიდისციპლინური გუნდი შემდეგი შემადგენლობით: აღმზრდელი, მეთოდისტი, ფსიქოლოგი, დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის სპეციალური პედაგოგი, პერსონალური ასისტენტი და მშობელი. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრის ოქმები;

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

დაწესებულებაში, პრაქტიკაში კურიკულუმის ,,თამაში მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის" სრულად დანერგვის შემდგომ, ობიექტური დაკვირვებების ფორმები, სასურველია დამტკიცებულ იქნას მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი ხორციელდება თამაშის სხვადასხვა ფორმით, საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვები ვითარდებიან და სწავლობენ ბუნებრივ, სახალისო და მოტივირებულ გარემოში. ეს დასტურდება დღის განრიგით.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ შერჩეული კურიკულუმის ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ მიხედვით, თამაში საგანამანათლებლო პროცესის,მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია. ტრანზიციისთვის ბაღი გამოიყენებს: სიმღერას- ხელის დაბანის დროს, ქვიშის საათს და ვიზუალური დღის განრიგს ყველა ჯგუფი. დაბა ჟინვალის საგანამანათლებლო პერსონალის მიერ დაგეგმილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმებით განსაზღვრული აქტივობები ხელს უწყობს ბავშვს თამაშით ფიზიკური და სენსორული,სოციალურ-ემოციური,კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების,შემეცნებითი, დამოუკიდებლება და ადაპტური უნარების განვითარებას. თამაში ბაღში დღის განრიგის მთავარი კომპონენტია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

### 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორთან, მეთოდისტთან და აღმზრდელთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი

და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.

დირექტორთან და საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს და გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად ჯგუფურ ოთახებში არსებული უხვი, განსაკუთრებით მეორადი და ბუნებრივი ტიპის, რესურსის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.

გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ ეზოში თავისუფალი, ორგანიზებული თამაშების შესაძლებლობა. ბაღის ეზოში განლაგებულია: მრავალფუნქციური სასრიალო-2; საქანელა-6ც; ფანჩატური-2; საქვიშე-2 ც. დიდი; წონასწორობის განმავითარებელი ატრაქციონი- 4; ეზოში მოწყობილი დრამატული თამაშებისთვის სივრცე-1; ბუნებრივი და მეორადი რესურსებით გაკეთებული სენსორული ბილიკი. აღსანიშნავია, რომ ეზოს განმავითარებელ ატრაქციონთა შორის არის ადაპტირებული საქანელები შშმ პირებისთვის (ეტლით მოსარგებლეთათვის), რაც შესაძლოა ჩაითვალოს ბაღის საუკეთესო პრაქტიკად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).
მარეგურილებელი წესის, მუხლი 5. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა-თანახმად:

- ✓ დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს;
- ✓ დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
- ✓ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვაროვბის კრიტერიუმებს;
- ✓ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას;
- ✓ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;
- ✓ დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N454, 19 დეკემბერი, 2025წ. (დანართი 4); ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ;
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).

აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალების საგანმანთლებლო რესურსების მინიმალურ ჩამონათვალს, სადაც გათვალისწინებულია რომელი სფეროს განვითარებისკენ მიემართება რესურსი, ასაკი, რაოდენობა და მახასიათებელი. რესურსი და მასალა უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის განვითარების ხუთივე სფეროს და თემატურ მიმართულებებს. რესურსის მინიმალური ჩამონათვალი გათვლილია ჯგუფში 30 ბავშვზე.

საგანმანათლებლო პერსონალთან და მეთოდისტთან, დირექტორთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ პრაქტიკაში დაწესებულებას შემუშავებული აქვს რესურსების მოთხოვნა/მიღების შიდა მექანიზმი, კერძოდ: მეთოდისტის მიერ საგანმანათლებლო პერსონალთან, კვირის ბოლოს (ხუთშაბათს ან პარასკევს) იგეგმება შეხვედრა, განიხილავენ მომავალი კვირის დაგეგმილ თემებს, იკვეთება საჭირო რესურსი, რომელიც აქტივობათა განხორციელებისთვის არის საჭირო. რესურსი ჯამდება და დაწესებულების დირექტორს გადაეცემა განცხადების სახით, შემდეგ დაწესებულების დირექტორი მიმართავს გაერთიანების გენერალურ დირექტორს. მტკიცებულებად წარმოდგენილია წერილობითი განცხადების/მოთხოვნის ფორმები და მიღების/ჩაბარების აქტები, რომელიც ქრონოლოგიურად ორგანიზებულია და დასტურდება ხელმოწერებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება N 39, 2 თებერვალი 2026წ. (დანართი 13). ა(ა) იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის” ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ; წესში - მუხლი 4. დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები - ს თანახმად: საგანმანათლებლო რესურსი დაწესებულებაშიმოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში/კურიკულუმის ჩარჩოში.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დ.ჟინვალის ფილიალის დირექტორის ბრძანება N 79, 6 თებერვალი. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დ.ჟინვალის ფილიალში აღსაზრდელთა ზღვრული რაოდენობის წესის დამტკიცების შესახებ; დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის,

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).

მარეგურილებელი წესის, მუხლი 6. საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება -ს თანახმად:

- ✓ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით;
- ✓ საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:




- ✓ საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება ყოველწლიურად პერიოდული ინვენტარიზაციის გზით.
- ✓ ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის ამ მუხლით განსაზღვრულ მექანიზმთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი.

  ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმის გარდა, დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს:

  ა) მოგროვება - მშობლებისა და პერსონალის მიერ მრავალფეროვანი რესურსის შეგროვება კურიკულუმის შესაბამისად;

  ბ) დონაცია - სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება;

გ) დამზადება - საკუთარი ძალებით, ასევე მშობელთა მონაწილეობით მრავალგვარი მეორადი და ღია მასალებით რესურსის დამზადება; დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა

- ✓ ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია-საინვენტარიზაციო აღწერა-2025წ.; დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დ.ჟინვალის ფილიალის დირექტორის ბრძანება N78; 24.11.2025წ.
- ✓ ა(ა) იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დ.ჟინვალის ფილიალში მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო აღწერის ჩატარების მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი, მასზედ, რომ საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტის - ,,ადრეული ინტერვენციისა და განათლების სერვისების გაუბჯობესება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საქართველოში“ ფარგლებში ,,მომწოდებლისგან“ (თაინითოი), მიღებულ იქნა მოტორული განვითარების ხელშემწყობი ინვენტარი. 2025წ.
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი, მასზედ, რომ საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტის - ,,ადრეული ინტერვენციისა და განათლების სერვისების გაუბჯობესება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საქართველოში“ ფარგლებში ,,მომწოდებლისგან“ (შპს მაღაზია ინტელექტი), მიღებულ იქნა წიგნები - 60 ერთეული. 2025წ.
- ✓ საგანმანთელებლო რესურსის (საკანცალარიო მასალა, განმავითარებელი სათამაშოები, წიგნები) მიღება-ჩაბარების აქტები.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის (110 ბავშვი) შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, შეტანილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 2.2.2 (ინდიკატორი 2) და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 12 თვე

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

რჩევა

დაწესებულებამ საინვენტარიზაციო აღწერის (შესამოწმებელი უწყისი) ფორმაში, სასურველია მოახდინის კლასიფიკაცია, სორტირება ინვენტარის ტიპის, ან დანიშნულების, ან მახასითებლის მიხედვით;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).
მარეგულირებელი წესში, მუხლი 7. გარემოს ფიზიკური მოწყობა-ს თანახმად:

- ✓ დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს.
- ✓ კურიკულუმის განხორციელების პროცესში, ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად.
- ✓ დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბარწილად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად;

დაწესებულებაში, ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფების ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, განმარტოების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებად. ჯგუფის ოთახში, ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით, კედელზე მოთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი. ცენტრებს და კონტეინერებს აქვთ ვიზუალური მინიშნებები, ასევე ვიზუალური მინიშნებები განთავსებულია როგორც შიდა, ისე გარე სივრცეებში. ჯგუფის ოთახში განთავსებული ცენტრები, ხშირ შემთხვევაში მკაფიოდ გამოყოფილია ერთმანეთისგან (სამი მხრიდან). ჯგუფის ოთახებში კედელზე ვიზუალური მასალის (ჯგუფის წესები, ნახატები) განთავსებისას, გათვალისწინებულია ბავშვის სიმაღლე და უსაფრთხოება. რესურსი (ქარხნული, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი) განლაგებულია ბავშვის სიმაღლის ღია კარადებში, ნაწილი კი მოთავსებული გამჭვირვალე კონტეინერებში. ჯგუფებში წარმოდგენილია სივრცე ბავშვების ნამუშევრებისთვის, რომელსაც თავად ბავშვები იყენებენ. ჯგუფური ოთახების შესასვლელებში განთავსებულია საინფორმაციო დაფა მშობლებისათვის და უკუკავშირის ,,მშობლების ყუთი“. ბაღს აქვს სპორტული და მუსიკალური დარბაზი, სადაც ტარდება სხვადასხვა სახის მოძრავი/სპორტული და მუსიკალური აქტივობები, გარემო უხვად არის აჭურვილი იმ ნივთით/აქსესუარით, რაც ზემოხსენებულ აქტივობებისთვის არის საჭირო. კერძოდ: აუზი, ფერადი ბურთებით - 1ც; დიდი ზომის საძრომიალი - 1ც; შვედური კედელი - 2ც; სპორტული

ინვენტარი; ტაქტილური საფეხურები; კანოე პლასტმასის ბუდე; ოპტიკურ-ბოჭკოვანი ბრჭყვიალა; დისკოს ფორმის ლაბირინთი; სხვადასხვა ფერის სენსორული ფილების ნაკრები; სხვადასხვა სენსორული პროდუქტი; საკრავების ნაკრები; თანგ-დრამი; აფრიკული დრამი; კალიმბა; აღნიშნული ინვენტარი გადმოცემულია საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტის - ,,ადრეული ინტერვენციისა და განათლების სერვისების გაუმჯობესება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საქართველოში“ ფარგლებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურებოდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად: ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი და ბუნებრივი ტიპის რესურსით, რომლებიც თემატურად არის ცენტრებში ორგანიზებული/განაწილებული. რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე. დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფური ოთახების დათვალიერებისას შეინიშნება, მეორადი საგნების გამოყენებით დამზადებული ხელთნაკეთი განმავითარებელი, სამაგიდო სათამაშოები, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ აღსაზრდელის საჭიროებებზე, ძლიერი მხარეების და

ინტერესების გათვალისწინებით. სენსორულ სივრცეებში ქვიშის ალტერნატივად გამოყენებულია, თანამშრომელთა მიერ დამზადებული, ბავშვებისთვის უსაფრთხო ფხვიერი მასა. ის შედგება შემდეგი ინგრედიენტებისგან: მჭადის ფქვილი, სახამებელი, ზეთი, კაკაო ან კვებითი საღებავები, ვანილი სურნელისთვის, რაც შეიძლება ჩაითვალოს დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკად;
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

### 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის: ოთახი დაყოფილია ცენტრებად. ჯგუფურ ოთახებში წარმოდგენილია პრივატული ზონები ,,წყნარი სივრცეები“, სადაც ბავშვებს აქვთ განმარტოვების საშუალება. ჯგუფური ოთახები იძლევა შესაძლებლობას დაიგეგმოს და განხორციელდეს აქტივობები, როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებთან. ჯგუფურ ოთახებში განლაგებულია ბავშვთა ზღვრული რაოდენობის მაგიდები და სკამები, რომლებიც საშუალებას იძლევა, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური აქტივობების დაგეგმვის შესაძლებლობას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N 469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).

მარეგულირებელ წესში მუხლი 8- ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - ს თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.
2. დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები/ჩექლისტები;
3. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.
4. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობისთვის დაწესებულება მოქმედებს ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი სისტემით.
5. დაწებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.
6. ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი;
7. ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი და ოჯახი.
8. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია;
9. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

10. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს; ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, გენერალური დირექტორის ბრძანება N469, ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“; 30 დეკემბერი 2025წელი (დანართი 6).
დოკუმენტს, დანართის სახით თანდართული აქვს ბავშვზე შეფასების ფორმა (დანართი 1), განვითარების ინდივიდუალური გეგმის ფორმა (დანართი#3), ბავშვის შემაჯამებელი შეფასების ფორმა (დანართი -5), ბავშვის შეფასების ინსტრუმენტი/კითხვარი (დანართი -7);
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, გენერალური დირექტორის ბრძანება #86; ა(ა) იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ბავშვის დაკვირვების კითხვარის დამტკიცების შესახებ: 2-3 წლიანთა, 3-4 წლიანთა , 4-5 წლიანთა და 5-6 წლიანთა ბავშვის დაკვირვების კითხვარი კურიკულუმ ,,თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (დანართი 1);
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 23 აპრილის №102 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესს“ დანართის სახით აქვს ბავშვის ანკეტა, სადაც ერთ-ერთი საკითხია ნებართვა ექსკურსიაზე გაყვანისთვის. ვიზიტის დროს ბაღმა წარმოადგინა ნებართვის ფორმა, კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანის შესახებ. რაც შეეხება უსაფრთხოების წესებს, რომლებიც დაარეგულირება კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანას ამ ეტაპზე არ არის შემუშავებული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ბავშვის გაყვანის დროს შესაძლებელია დაიხმარონ მშობლები და ბაღის პერსონალი. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანის უსაფრთხოების წესების შემუშავება.

რჩევა

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანის უსაფრთხოების წესების შემუშავება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას**(დაწესებულება უზრუნველყოფს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანის უსაფრთხოების წესების შემუშავებას), **პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული** (ცენტრის გენერალური დირექტორი, ფილიალის დირექტორი), **საჭირო რესურსი** (სკოლამდელი არზრდის ცენტრის ბიუჯეტი) **პასუხისმგებელი პირები და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაბა ჟინვალის ფილიალში გარემო პროგნოზირებადია. კერძოდ, განთავსებულია სხვადსხვა სახის მანიშნებლები. ჯგუფურ ოთახებში გამოკრულია საათი-დღის განრიგი, სადაც თვალსაჩინოდ, ნახატებით არის წარმოდგენილი დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. ასევე ნახატების სახით წარმოდგენილია ქცევის წესები. ყველა ოთახს აქვს თავისი მანიშნებლები. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

### 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაბა ჟინვალის ფილიალის პერსონალი იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას. მტკიცებულებად წარმოდგენილია ბავშვთა უფლებების კონვენციის და რეფერირების საკითხების გაცნობის შესახებთ თანამშრომელთა შეხვედრის ოქმი-10. ასევე ბაღის აღმზრდელებმა, პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის ფარგლბში გაიარეს ბავშვის ძირითადი უფლებების საკითხები. კერძოდ, ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელშიც გაერთიანებულია ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები, ბავშვთა უფლებები, სახელმწიფოსა და ინდივიდის დონეზე ბავშვთა დაცვის საკითხების უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული ვალდებულებები. დაწესეულების პერსონლთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი იცნობენ ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებს და მზად არის გაითვალისწინონ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განხორციელების დროს. დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების

დაცვის საკითხებში. შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს მიზნობრივ სწავლებას, რისი მტკიცებულებაა დაწესებულების 2026 წლის სამოქმედო გეგმა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაბა ჟინვალის ფილიალმა წარმოადგინა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N22 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი. წესი ადგენს ბაღის როლს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში, ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების საფუძველს; ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხიმგებელი პირს და რეაგირების მექანიზმს; ნაპოვნი /მიტოვებული ბავშვის რეფერირებას; ინფორმაციის კონფიდენციალურობას და რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურულ წესებს. დანართის სახით წარმოდგენილია ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი და ბავშვის პოვნის ან ბავშვის მიტოვეის შეტყობინების ფორმა. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2026 წლის 27 იანვრის N23 ბრძანებით განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს აქვს შესაბამისი სწავლება/გადამზადება ამ მიმართულებით. დაწესებულებას სამოქმედო გეგით გათვალიწინებული ჰქონდა ძალადობის ამოცნობასა და ბავშვის რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით ტრენინგის ჩატარება. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზაცია, რაც დასტურდება დაწესებულების სამოქმედო გეგმაში და ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში, ტრანზაციის მიმართულებით გაწერილი აქტივობებით.

ვიზიტის დროს, ბაღის პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულების პერსონალი იცნობს ადაპტაციის სხვადასხვა ფორმებს. კერძოდ, მცირე ტრანზაციის მიზნით ჯგუფურ ოთახებში გამოკრულია საათის ფორმის დღის განრიგი, სადაც თითოეული აქტივობება შესაბამისი მინიშნებითაა წარმოდგენილი და ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლას საგანმანათლებლო პერსონალი აქტივობის ამსახველი სურათით, სიმღერით, ზარის დარეკვით ატყობინებს. ასევე აქტიუალურია ქვიშის საათის გამოყენებაც. ბაღს განსაზღვრული აქვს დიდ ტრანზაციის ხელშეწყობის აქტივობები. კერძოდ, სასკოლო მზაობის ბავშვების სტუმრობა სკოლაში. როგორც ბაღის პერსონალმა აღნიშნა ასეთ აქტივობებს ბაღი წინასწარ გეგმავს და შეათანხმებს სკოლას. დაწესებულება აქტიურად გამოიყენებს ეზოს აქტივობებს, რაც ხელს ვუწყობს ბავშვებს სირთულეების დაძლევაში და ადაპტაციის პროცესის მარტივად გამკლავებაში. ცენტრის 2026 წლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ ბაღში ეწყობა ღია კარის დღეები საგანმანათლებლო პროცესის გასაცნობად. ინტერვიუთი დგინდება, წლის დასაწყისში ბაღში ეწყობა ღია კარის დღეები. მშობლები ბავშვებთან ერთად ეცნობიან ბაღის გარემოს, ხვდებიან აღმზრდელებს, ეცნობიან სხვა ბავშვებს, თამაშობენ ეზოში, ათვალიერებენ ჯგუფებს, ბაღის საგანამანათლებლო პერსონალი მშობლებს უზიარებს ინფორმაციას, რჩევებს, თუ როგორ გაუადვილონ ბავშვებს პირველი ტრანზიციის პროცესი. ცნობიერების ამაღლების მიზნით მშობლებს გადაეცემათ ბროშურები. საჭიროების შემთხვევაში, ადაპტაციის პერიოდში მშობელი ბავშვთან ერთადა იმყოფება ჯგუფში, სანამ ბავშვი თავს არ იგრძნობს მშვიდად და უსაფრთხოდ. დაბა ჟინვალის ფილიალის დირექტორის 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში იკითხევა ადაპტაციის და ტრანზაციის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები. **აღნიშნულიდან გამოდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული ბავშვის პირადი საქმეების წარმოების სრულყოფილი წესი, სადაც განსაზღვრული იქნება ბავშვის პირად საქმეების წარმოებაზე და შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. ბავშვის საბავშვო ბაღში ჩარიცხვის მომენტიდან დაწესებულება ამუშავებს ბავშვის და მისი ოჯახის შესახებ პერსონალურ ინფორმაცია. კერძოდ, სარეგისტრაციო ანკეტაში ასახულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაციები, წარმოდგენილია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობა, მშობლის წერილობითი ნებართვა ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე, ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა ან სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N100; ბავშვის ფოტოსურათი,, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია მიეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და საჭიროებენ დაცვის მაღალ სტანდარტს. როგორც ბაღის დირექტორმა აღნიშნა, ბავშვის პირადი საქმეები განთავსდება დირექტორის ოთახში დაკეტილ კარადებში.

**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც ბავშვის პირად საქმეებზე პასუხსიმგებელი პირი არ არის განსაზღვრული, რომელიც უზრუნველყოფს პირად საქმეში განთავსებული ბავშვის და ოჯახის შესახებ ინფორმაციაზე უცხო პირის წვდომის დაცულობას. ასევე არ არის შემუშავებული პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით დაწესებულებამ განსაზღვროს ბავშის პირადი საქმეების წარმოება/შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. ადგილი სად განთავსდება პირადი საქმეები. დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაიცვას პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები. განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა.

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას** (ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით დაწესებულებამ განსაზღვროს ბავშის პირადი საქმეების წარმოება/შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. ადგილი სად განთავსდება პირადი საქმეები. დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაიცვას პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები. განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა), **პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული** (ცენტრის გენერალური დირექტორი, ფილიალის დირექტორი)**, საჭირო რესურსი** (სკოლამდელი არზრდის ცენტრის ბიუჯეტი) **პასუხისმგებელი პირები და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.* ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2026 წლის 9 თებერვლის N44 ბრძანებით დამტკიცებული ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი“

2. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N22 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი.

3. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2026 წლის 27 იანვრის N27 ბრძანებით განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

4.. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026 წლის სამოქმედო გეგმა.

5. ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება

6.შესაბამისობის გეგმა

7. დღის განრიგი

8.მშობლის წერილობითი ნებართვა (დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე, ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე და სხვ.)

9. დაბა ჟინვალის საკომუნიკაციო გეგმა

10. ბავშვთა უფლებების კონვენციის გაცნობა-დაბა ჟინვალის ფილიალის თანამშრომელთა ხელმოწერები

11. ინტერვიუს შედეგები

12. ბაღის შიდა სივრცის ვიზუალური დათვალიერების შედეგები
13.2026 წლის 10 მარტის საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების წერილი. (MIA 42600826942)
14. დაბა ჟინვალის ფილიალის დირექტორის 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

## 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელის მიერ წრმოდგენილია ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026 წლის სამოქმედო გეგმა, სადაც დაბა ჟინვალის ფილიალისთვის განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები. ფილიალის დირექტორთან ინტერივუთი გამოიკვეთა, რომ ფილიალს საკუთარი ფინანსური რესურსი არ გააჩნია და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ფინანსური უზრუნველყოფა ძირითადად ცენტრის ბიუჯეტით ხორციელდება. ფილიალის დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე ცენტრის ერთიანი ბიუჯეტიდან ხდება მოთხოვნილი ნივთების შეძენა, რაც დასტურდება ფილიალის დირექტორის მოთხოვნის წერილით და სათამაშოების და საკანცელარიო მასალის მიღება-ჩაბარების აქტით. სამოქმედო გეგმის შესწავლით ჩანს, რომ დაბა ჟინვალის ფილიალის იმ აქტივობებისთვის, რომელთა განხორციელება საჭიროებს ფინანსურ ხარჯებს გათვალსიწინებულია ცენტრის ბიუჯეტი. კერძოდ, ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგის ჩატარება საგანმანათლებლო პერსონალისთვის“, ,,საგანმანათლებლო პერსონალის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა“, ,,ძალადობის ამოცნობასა და ბავშვის რეფერირების პროცედურებთან

დაკავშირებით ტრენინგის ჩატარება“, ,,მშობლებისთვის ბროშურების მიწოდება ბავშვთა უფლებების შესახებ“, ,,თამაშზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს მოწყობა ჯგუფებში (ცენტრების პრინციპი)“, ,,ეზოების გამწვანება და ბავშვებისთვის მცირე "ზოსტნების" მოწყობა საგანმანათლებ ლო მიზნით ‘’, ,, ჯგუფების აღჭურვა ასაკის შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსით და წიგნებით“.**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაბა ჟინვალის ფილიალმა წარმოდგინა ცენტრის ბიუჯეტი. წარმოდგენილ ბიუჯეტით და ცენტრის ბუღალტერთან ინტერვიუთი დგინდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის საჭირო რესურსების შესაძენად არ არის გამოყოფილი ცალკე პუნქტები. საგანმანათლებლო-განმავითარებელი რესურსებისთვის გამოყოფილი თანხები ძირითადა გაერთიანებულია პუქტებში ოფისის ხარჯი და საკანცელარიო საქონლის შეძენა. თუმცა ამ მუხლს არა აქვს ქვეპუნქტები, რომლებიც ნათლად მიუთითებდა ბიუჯეტიდან რა თანხაა გამოყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის საჭირო რესურსების შეძენაზე. 2026 წლის გეგმაში ფიქსირდება მხოლოდ მეთოდური და საბავშვო ლიტერატურის შეძენის ხარჯები. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის ბრ.N469 დამტკიცებულ ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ მოიცავს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმირების და

აღნიშნულ რესურსების შეძენა-განაწილების სქემას. დანართის სახით წარმოდგენილია მინიმალური რესურსების ჩამონათვალიც, ადგილზე ვიზიტის დროს მე-3 ფილიალმა წარმოადგინა საგანმანათლებლი რესურსების ინვენტარიზაციის აქტი.

**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რამდენდაც ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება წარმოადგენს წინაპირობას დადგენილი საგანმანათლებლო რესურსების შეძენისთვის და ბიუჯეტში შესაბამისი თანხა არ არის გამოყოფილი, ვერ დგინდება ერთიანი თანხის რა ნაწილის გამოყენებას შეძლებს დაწესებულება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევად.**

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, საპროგნოზო ბიუჯეტის იმგვარი შემუშავება, რომ შესაძლებელი გახდეს კურიკულუმის მიზნებისთვის საგანმანათლებლო რესუსების შეძენის განსაზღვრა.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას** (დაწესებულება უზრუნველყოფს, საპროგნოზო ბიუჯეტის იმგვარი შემუშავებას, რომ შესაძლებელი გახდეს კურიკულუმის მიზნებისთვის საგანმანათლებლო რესუსების შეძენის განსაზღვრა) **საჭირო რესურსი** (სკოლამდელი არზრდის ცენტრის ბიუჯეტი) **პასუხისმგებელი პირები და ხარვეზის გამოსწორების 24 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობით.**

.

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. ცენტრის წარმომადგენლებთან კერძოდ, მთავარ ბუღალტერთან ინტერვიუთი დგინდება, რომ ცენტრი ყოველ წელს შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელიც ეყრდნობა წინა წლის ბიუჯეტის ანალიზს, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს გენერალურ დირექტორს. საჭიროების შემთხვევაში, გენერალურ დირექტორს შეაქვს ცვლილება და წერილობით მიმართავს დამფუძნებელს თანხის დამატების თხოვნით. შესაძლებლობის ფარგლებში ხდება ბიუჯეტში ცვლილება და თანხის დამატება. დაზუსტებული ბიუჯეტის პროექტი წარედგინება

დამფუძნებელს დასამტკიცებლად. ყოველი წლის ბოლოს დაწესებულება დამფუძნებელს გაწეული სამუშაოს შესახებ წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ასახულია დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის ანალიზი.
**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დამკმაყოფილებული**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ შეიმუშაოს საკუთარი ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელი დაეფუძნება ხარისხის ციკლს და მოიცავდეს დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების ეტაპებს.

რჩევა
................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას** (დაწესებულება შეიმუშავებს საკუთარი ფინანსური რესურსების მართვის სისტემას, რომელიც დაეფუძნება ხარისხის ციკლს: დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების ეტაპებს).
**საჭირო რესურსი** (სკოლამდელი არზრდის ცენტრის ბიუჯეტი) **პასუხისმგებელი პირები და ხარვეზის გამოსწორების 24 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობით.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N472 ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2026 წლის სამოქმედო გეგმა.
2. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2025 წლის ბრ.N469 დამტკიცებულ ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“
3. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ბიუჯეტი
4. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დ.ჟინვალის ფილიალის დირექტორის ბრძანება N78; 24.11.2025წ.

ა(ა) იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დ.ჟინვალის ფილიალში მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო აღწერის ჩატარების მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ;

5. საგანმანთელებლო რესურსის (საკანცალარიო მასალა, განმავითარებელი სათამაშოები, წიგნები) მიღება-ჩაბარების აქტები.
6. ინტერვიუს შედეგები
7. დაბა ჟნვალის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება |
|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |

| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

<u>თარიღი</u> 21 /-05/-2026

| ხელმომწერი | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე** | | |
| *ხარისხის ექსპერტი* | მაკა ტუკვაძე |  |
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები** | | |
| *კურიკულუმის ექსპერტი:* | თამარ ლომიძე |  |
| *კვების დარგში ექსპერტი:* | ია აიკობიძე | |
| *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* | ინგა კობახიძე |  |

დანართი №1

### 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

**საფირმო სახელწოდება:** ა.(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი

**ბრძანების N:** სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება- MES 7 26 0000230676; 26/02/2026

**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):** დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჟინვალის ფილიალი

**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:** დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჟინვალი, მე-4 ქუჩა, N7 ა (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)

**ვიზიტის თარიღი:** 20 და 21 მარტი

**კრიტერიუმი 4.3.1.** დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>2. დაბა ჟნვალის შესაბამისობის გეგმა<br>3. ვიზუალური დათვალიერება<br>4. ინვენტარიზაციის აქტები<br>5.. მიღება ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები<br>6.ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" გენერალური დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N20 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი"<br>7.ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" გენერალური დირექტორის მიმართვის წერილი უფლებამოსილ უწყებას სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის შესახებ. (12.02.2026 ) 8. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დ.ჟინვალის ფილიალის დირექტორის 6 თებერვალის ბრძანება N79, დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დ.ჟინვალის ფილიალში აღსაზრდელთა ზღვრული რაოდენობის წესის დამტკიცების შესახებ. 9.შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ა.(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაბა ჟინვალის ფილიალმა წარმოაგდონა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რაც ადასტურებს, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჟინვალი, მე-4 ქუჩა, N 7 ა -ში, 3420 კვ.მ დაზუსტებულ ფართზე განთავსებული ორსართულიანი შენობა-ნაგებობა , საკადასტრო კოდით 71.52.03.030 უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადეცა ა.(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრისდაბა ჟინვალის ფილიალს არსებობის ვადით. ამ ეტაპზე დაწესებულებას არა აქვს შენობა-ნაგებობის სქემა და დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ). აღნიშნულ საკითხებზე წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. გეგმის თანახმად ბაღი 2027 წლის იანვრამდე უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტების მოპოვებას. დასწესებულებამ წარმოადგინა მიმართვის განცხადება (14.02.2024) უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. | დაწესებულებამ უზრნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2027 წლის იანვრამდე: 1.ფილიალის შენობა-ნაგებობის სქემის არსებობა 2..შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ დასკვნის მოპოვება, რომელიც გაცემული იქნება აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ . | | |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.2. | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ბაღი განთავსებულია ცალკემდგომი ორსართულიან შენობაში. დაწესებულებაში ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის I და II სართულზე. შენობაში სულ 6 ჯგუფური ოთახია, თითოეულ ოთახს აქვს შესასვლელი, სადაც განთავსებულია ბავშვის რაოდენობის შესაბამისი ტანსაცმლის კარადები. სანიტარული კვანძი, საკვების გამანაწილებელი სივრცე და საძინებელი ზონა ოთხ ჯგუფურ ოთახისთვის, შესაბამისი რაოდენობის საწოლებით. | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ბაღის შენობაში ბავშვის ასაკის შესაბამისად 6 ჯგუფური ოთახია. პირველ სართულზე განთავსებულია 2-3 წლიანების, 4-5 წლიანების და 5-6 წლიანების ჯგუფური ოთახები,ხოლო მეორე სართულზეა 3-4 წლიანების, 4-5 წლიანების და 5-6 წლიანების ჯგუფური ოთახები. თითოეულ ჯგუფურ ოთახს აქვს სან. კვანძები, აღჭურვილი საკმარისი რაოდენობის რაოდენობის უნიტაზებითა და ხელსაბანებით. საძინებელი სივრცე აქვს ოთხ ჯგუფურ ოთახს, სადაც განთავსებულია ბავშვის რაოდენობის შესაბამისი საწოლები. შენობაში არის ადმინისტრაციული სამყოფები: დირექტორის და მეთოდისტის ოთახები, სამასწავლებლო, დარბაზი, სამედოცინო კაბინეტი, კვების ბლოკი- სამზარეულო, კერძების მოსამზადებელი, პროდუქტების საწყობი, სივრცეს ცალკე პროდუქტების საწყობის, ცალკე სივრცე ბოსტნეულის პროდუქტების შესანახად. საერთო სარგებლობის სიცრცეების დამლაგებლის ოთახი, სასაწყობე სივრცე. თითოეულ სართულზეა ორ-ორი სველი წერტილი თანამშრომლებისთვის, გათვალიწინებულია ადაპტირებული სველი წერტილები ბავშვისთვის და თანამშრომლებისთვის ცალ-ცალკე. მეორე სართულზეა სამზარეულოს ლიფტი. საბავშვო ბაღის მთლიანი შენობა უზრუნველყოფილია ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემით. შენობაში არის ვიზუალური მინიშნებები, რაც ბავშვებს უადვილებს სივრცეში ორიენტაციას. დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა. | | | |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | | | | | | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.4.** | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ბაღის შენობაში ყველა ჯგუფრ ოთახს აქვს სან. კვანძები . თითოეულ სან. კვანძში განთავსებულია 2-2- უნიტაზი და ხელსაბანი. გამონაკლისია ორი ჯგუფურ ოთახი, სადაც არის ორი დამოუკიდებელი სან. კვანძი 2-2 უნიტაზიით და ხელსაბანით. შენობაში სულ, ბავშვის ზომის 16 უნიტაზი და 16 ხელსაბანია. ყველა სან კვანძს აქვს კაბინა კარით, რომელიც აწეულია იატაკიდან, იღება გარეთ, **თუმცა კარებს არა აქვს საკეტი და არ იკეტება**. ბაღში არის ადაპტირებული სან. კანძები ბავშვებისთის და ზრდასრულისთვის. დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ. | **დაწესებულებამ, უზრუნველყოს სანიტარულ კვანძეში, კარებზე საკეტის დაყენება, რომელისაც ექნება გარედან გაღების შესაძლებლობა. კარების** | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას( სანიტარულ კვანძეში, კარებზე ისეთი გაღების მექანიზმის არსებობა,რომელსაც აქვს გარედან გაღების შესაძლებლობა. ) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ცენტრის გენერალური დირექტორი, ფილიალის დირექტორი)საჭირო რესურსი (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბიუჯეტი) პასუხისმგებელი პირები და ხარვეზის გამოსწორების 24 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობით. |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფებისა) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი**) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.5.** | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | საჯარო რეესტრის ამონაწერით, ბაღის ეზოს დაზუსტებული ფართია -3420 კვ.მ, რაც აკმაყოფილებს 110 ბავშვისთვის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ბაღის პერიმეტრი შემოსაზღვრულია მყარი რკინის ღობით, რომლის სიმაღლეა 162 სმ, ხოლო ღობის ვერტიკალურ ღიობებს შორის მანძილია 9-10 სმ-ია. ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ბაღის ეზოში განთავსებულია ყველა სავალდებულო აღჭურვილობა. კერძოდ, მრავალფუნქციური სასრიალო-2<br>საქანელა-6ც<br>საჩრდილობელი/ფანჩატური-2<br>საქვიშე-2 ც. დიდი.<br>წონასწორობის განმავითარებელი ატრაქციონი- 4<br>ეზოში მოწყობილი დრამატული თამაშებისთვის სივრცე-1 , კარავი, სკამი დასაჯდომი და მაგიდა განტავსებულია ფანჩატურში.<br>ბუნებრივი და მეორადი რესურსებით გაკეთებული სენსორული ბილიკი. ასევე გათვალიწინებულია შშმ ბავშვისთვის 4 საქანელა.<br>ინვენტარი დმზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისგან, კონსტრუქცია უსაფრთხოა გამოყენებისთვის. **თუმცა ერთ -ერთ ფანჩატურში, სადაც მოწყობილია სივრცე დრამატული თამაშებისთვის არის ბეტონის საფარი, რაც საფრთხის შემცველია ბავშვის ფიზიკური უსაფრთხოებისთვის. ასევე ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია ბეტონის საფარი.** ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით. შენობის გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო. | დაწესებულებამ უზრუნველყოს, ფანჩატურში, სადაც მოწყობილია სივრცე დრამატული თამაშებისთვის დააგოს რბილი საფარი. ასევე ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოიყენოს მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას(1.დაწესებულება უზრუნველყოფს, ფანჩატურში, სადაც მოწყობილია სივრცე დრამატული თამაშებისთვის დააგოს რბილი საფარი. 2..ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოიყენოს მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი.) პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ცენტრის გენერალური დირექტორი, ფილიალის დირექტორი)საჭირო რესურსი (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ბიუჯეტი) პასუხისმგებელი პირები და ხარვეზის გამოსწორების 24 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება ნაწილობრივ შესაბამისობით. |
| | სასრიალო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
